ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 13

18 ოქტომბერი 2024 წელი

ქ. ბაღდათი

10:00 საათი

2024 წლის 18 ოქტომერს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ნოდარ გიორგიძე, გურამი კიკნაველიძე, გია სახამბერიძე, სიმონ ჭოლოკავა, შადიმან გორგოძე, ბიძინა ჯაბიძე, კახა კოხოძე, ზაზა ზივზივაძე, ალექსანდრე ფახურიძე, იოსებ კვირიკაშვილი, ირინა ტყეშელაშვილი, მაია კბილაშვილი, გიორგი კოტორეიშვილი, მურად ბურჯანაძე, თეა გოგნაძე, გვანცა გრძელიძე, გურამ ჩხეიძე, ზვიად გუმბერიძე, ნინო კვირიკაძე, ირაკლი გოგსაძე, მაკა მესხი.

სულ: 21 საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: ჯუმბერ რობაქიძე, შალვა მშვილდაძე, დიომიდე კიკნაველიძე, ვლადიმერ წიქორიძე, ნინო ფურცელაძე, თორნიკე გაჩეჩილაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

ქეთევან კარკაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

მარინა ჩხეიძე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი - „ბაღდათის მოსწავლე-ახალგზრდობის სახლის დირექტორი.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

თამთა ჯიხვაძე - საქართველოს პარლამენტის წევრის ბეჟან წაქაძის ბიუროს თანამშრომელი.

პრესის წარმომადგენლები (ჩემი გაზეთი)

საკრებულოს აპარატი:

ნოდარ ებანოიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ირინე აბაიშვილი - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21 საკრებულოს წევრმა.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა ნოდარ გიორგიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომის თავმჯდომარემ ნ. გიორგიძემ, სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი-ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის ანგარიში 2023-2024 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. მარინა ჩხეიძე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის დირექტორი.

2.ქ. ბაღდათში, ვაჟა ფშაველას ქ. №5-ში 30.11.33.489.01.506 საკადასტრო კოდზე მდებარე ოთახი №3 (13.3 კვ.მ.) და ოთახი №5 (ფართით 30.00 კვ.მ) უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით განკარგვაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. ქეთევან კარკაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი მიღებული იქნა.

მომხრე - 21 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი-ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის ანგარიში 2023-2024 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ.

ანგარიში საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა, მარინა ჩხეიძემ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი-ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის დირექტორი.

აზრი გამოთქვეს: სიმონ ჭოლოკავამ, ირინა ტყეშელაშვილმა, მაია კბილაშვილმა, ბიძინა ჯაბიძემ, გურამ ჩხეიძემ, ნოდარ გიორგიძემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაზე ანგარიშის განხილვის შესახებ ისაუბრა, ამავე კომისიის თავმჯდომარემ - ირინა ტყეშელაშვილმა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N36 განკარგულება:გ-67. 6724292001 თარიღი:18/10/2024 (განკარგულება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 19 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 2. ქ. ბაღდათში, ვაჟა ფშაველას ქ. №5-ში 30.11.33.489.01.506 საკადასტრო კოდზე მდებარე ოთახი №3 (13.3 კვ.მ.) და ოთახი №5 (ფართით 30.00 კვ.მ) უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით განკარგვაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

განკარგულების პროექტი მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა: ქეთევან კარკაძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგსაძემ მურადი ბურჯანაძემ, თორნიკე გაჩეჩილაძემ, ნოდარ გიორგიძემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრსატრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაზე განხილვის შესახებ სხდომას მოახსენა, ამავაე კომისიის თავმჯდომარემ -თორნიკე გაჩეჩილაძემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N37 განკარგულება:გ-67. 67242922 თარიღი:18/10/2024 (განკარგულება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 21 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: ნოდარ გიორგიძე